

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების წარმომადგენლების დამოკიდებულების კვლევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ

2022

კვლევის ანგარიში  
(ძირითადი მიგნებები)



## სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

კვლევა განხორციელდა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის “სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის” ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

© მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი, 2022



## შესავალი

კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2021 წლის მე-4 კვარტალში ჩატარებული თვისებრივი კვლევის ანალიზი. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესახებ. ანგარიშში ასახულია საკვლევ საკითხთან მიმართებით ზოგადი მიგნებები და დასკვნები, რომლებიც ეფუძნება რესპონდენტების პირად გამოცდილებასა და მოსაზრებებს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუერი, წინასწარ შედგენილი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარის მიხედვით, გაესაუბრა ოთხ-ოთხ წარმომადგენელს რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტის თვითმმართველობიდან (სულ 5). კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა და ასევე, ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებმა. კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, ანგარიშში არ საჯაროდება სამუშაო პოზიციის კონკრეტული დასახელებები, რათა არ მოხდეს რესპონდენტების რაიმე ფორმით იდენტიფიცირება.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემული კვლევის მიზანია მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების წარმომადგენლებში არსებული დამოკიდებულების იდენტიფიცირება მცხეთა-მთიანეთის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ და მათ შორის თანამშრომლობითი გამოცდილების შეფასება.

კვლევის ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

1. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აღქმისა და მათი საქმიანობის ცოდნის იდენტიფიცირება ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებში;
2. ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის საერთო ინიციატივების განხორციელებისა და ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილების შესწავლა;
3. ადგილობრივი თვითმმართველობების მზაობის შეფასება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით და თანამშრომლობის სასურველი ფორმების გამოვლენა;
4. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების განწყობების შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ;
5. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გავლენის შესწავლა ადგილობრივ კონტექსტზე.

*წარმოდგენილ ანგარიშში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე მოიცავს მცირე ზომის, ე.წ. სათემო ორგანიზაციებს. ტექსტში ხშირად გამოყენებულია აბრევიატურა - სსო, ანუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.*



## კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია	თვისებრივი კვლევა;
სამიზნე ჯგუფი	მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების (ახალგორის იძულებით გადაადგილებული მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, თიანეთის მუნიციპალიტეტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) წარმომადგენლები;
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი შერჩევა;
მონაცემების მოპოვების მეთოდი	სიღრმისეული ინტერვიუ - პირისპირ ინტერვიუს ფორმატი;
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	20 სიღრმისეული ინტერვიუ;
თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	4 სიღრმისეული ინტერვიუ;
კვლევის არეალი	მცხეთა-მთიანეთის რეგიონი;
ინტერვიუს ხანგრძლივობა	25-35 წთ.

## კვლევის შეზღუდვა

კვლევის მთავარი შეზღუდვა არის მისი რეპრეზენტატულობა. კერძოდ, შერჩევა მოხდა მიზნობრივად. ასევე, სასურველია, კვლევის შედეგების შემდგომი გადამოწმება სხვა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებით.

## კვლევის ეთიკის საკითხები

კვლევა ეთიკური პრინციპების დაცვით წარიმართა. ინტერვიუს დასაწყისში, რესპონდენტებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ინტერვიუს დასაწყისში ალებულ იქნა სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობა და ასევე, განეცხადა თითოეულ მონაწილეს, რომ მათი ვინაობა დარჩებოდა კონფიდენციალური და მათ მიერ გაზიარებული ინფორმაცია დამუშავდებოდა განზოგადებული სახით, მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის.

## კვლევის მნიშვნელობა

- წარმოდგენილი კვლევა იძლევა ღირებულ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებში არსებული დამოკიდებულებისა და მოლოდინების შესახებ სსო-ების მიმართ. მიღებულ შედეგებს კი, თავის მხრივ, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა სახის პროგრამებისა თუ ინიციატივების დაგეგმვასა და წარმართვაში.
- კვლევას დამატებით ღირებულებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ მსგავსი შინაარსის კვლევა რეგიონის ჭრილში ჯერ არ ჩატარებულა.

- მოცემული კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლოა შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციების პაკეტი მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი სსო-ებისთვის ან/და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გეგმავენ თანამშრომლობას მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნული დაეხმარება დაინტერესებულ ორგანიზაციას სწორად და ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობის ფორმები და მიმართულებები.
- კვლევის შედეგები შესაძლოა გახდეს საფუძველი სხვა კვლევების ჩატარებისთვის, რადგან მოცემული კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა გარკვეული თემებისა და საკითხების სრულად დაფარვა. შესაბამისად, სამომავლოდ, კვლევების ჩატარება მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია.

## ძირითადი მიგნებები

ძირითადი მიგნებები დაჯგუფებულია შემდეგი საკითხების მიხედვით:

1. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აღქმა და მათი საქმიანობის ცნობადობა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებში;*
2. *ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის გამოცდილება;*
3. *ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების შეფასება;*
4. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა სამომავლო თანამშრომლობაზე - პრიორიტეტული მიმართულებები და თანამშრომლობის ფორმები;*
5. *ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის პროგრამული დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა თვითმმართველობის ბიუჯეტიდან;*
6. *ადგილობრივი თვითმმართველობების განწყობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ;*
7. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გავლენის საჭიროება ადგილობრივ კონტექსტზე.*

### 1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აღქმა და მათი საქმიანობის ცნობადობა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის სსო-ები ძირითადად აღიქმება, როგორც აპოლიტიკური, სახელმწიფო სტრუქტურისაგან განყენებული და დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა დონორისგან მოპოვებული ფინანსური რესურსებით ახორციელებენ ისეთ საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში. ასეთ ორგანიზაციებში საერთო ხედვისა და მიზნის მქონე ადამიანები არიან გაერთიანებული, რომლებიც თემში არსებული პრობლემების გადაჭრისა და სამოქალაქო ხმის სახელმწიფო სექტორამდე მიტანის მიზნით მუშაობენ.

რესპონდენტების მოსაზრებით, სსო-ების ფუნქციაა, შეასრულოს შუამავლის როლი სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის, მოახდინოს თემის წევრების ინფორმირება სხვადასხვა საკითხის შესახებ, დაეხმაროს მათ ინტერესების დაცვასა და მიზნების რეალიზებაში, დაგეგმოს და განხორციელოს ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და ადვოკატირების კამპანიები, ხელი შეუწყოს თემის წევრების სამოქალაქო განათლებას სხვადასხვა მეთოდებით, აწარმოოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი, ასევე შეითავსოს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის შემავსებლის როლი, რაშიც იმ დანაკლისის ამოვსება მოიაზრება, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის განხორციელების შედეგად რჩება საზოგადოებაში ან/და არ წარმოადგენს თვითმმართველობის კომპეტენციას და ზოგადად, წარმოადგენდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობის მხარდამჭერ აქტორს.

მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა დაასახელეს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკმაოდ მცირე რაოდენობა. თუმცა, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საკმაოდ დაბალია მოქმედი და აქტიური სსო-ების რაოდენობა, ადგილობრივი კონტექსტისათვის ეს ლოგიკური შედეგია. რესპონდენტებმა იციან, რა ტიპის საქმიანობას ახორციელებენ მათ მიერ დასახელებული ორგანიზაციები, აქვთ ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ, ასევე ასახელებენ თუ რა მიმართულებებით და რომელ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობენ. ადგილობრივი სსო-ების ცნობადობა განსაკუთრებით მაღალია დუშეთისა და ყაზბეგის, ხოლო ყველაზე დაბალია მცხეთის, თიანეთის და ახალგორის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ შედეგს განაპირობებს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სსო-ების სიმცირე და ასევე, თვითმმართველობასა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა.

## 2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის არსებული თანამშრომლობის გამოცდილება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თვითმმართველობებს აქვთ საერთო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების გამოცდილება ადგილობრივ სსო-ებთან. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იკვეთება ახალგორის იძულებით გადაადგილებულ მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტში, ყველაზე დაბალი კი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. გამოვლინდა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები, როგორც არის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსით მხარდაჭერა, სივრცის დათმობა, მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში მონაწილეობა. გარდა ამისა, რამდენიმე მუნიციპალიტეტს აქვს სსო-ებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების გამოცდილება. ასევე, არასამთავრობო სექტორთან ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები თანამშრომლობენ ინფორმაციის გაზიარებისა და შეხვედრებში მონაწილეობის მიღების კუთხითაც. მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი თვითმმართველობები და სსო-ები ახორციელებენ ერთობლივ აქტივობებს: სპორტულ და ახალგაზრდულ პროექტებს, გარემოსდაცვით და ჰუმანიტარულ აქტივობებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს. გარდა ამისა, ერთობლივად მუშაობენ ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების მიზნით

მცხეთა-მთიანეთში არსებული მუნიციპალიტეტების ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამ მხრივ, ყველაზე მრავალფეროვანი გამოცდილება აქვთ ახალგორის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებს, ხოლო ყველაზე ნაკლებად ყაზბეგისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებს. მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ მუნიციპალიტეტების მიღმა მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილებაც, რაც ძირითადად მათ მიერ ორგანიზებულ პროექტებში, ღონისძიებებში, ტრენინგ-კურსებში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართვას მოიაზრებს. ასევე, აღსანიშნავია საელჩოებთან აქტიური თანამშრომლობა. რესპონდენტების მიერ, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოები ყველაზე ხშირად დასახელდა, რომლებთანაც დამატებითი ფინანსური რესურსების/გრანტების მობილიზების კუთხით თანამშრომლობენ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველობებს სსო-ებთან ნეგატიური თანამშრომლობის გამოცდილება ნაკლებად აქვთ. ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში კი, ძირითად გამომწვევ ფაქტორად რესპონდენტები მხარეებს შორის არასწორ და არასრულ კომუნიკაციას ასახელებენ.

### 3. ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების შეფასება

ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს, წახალისებს და ორგანიზებას გაუკეთებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ამ მიმართულებით, ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროება იკვეთება. რესპონდენტები გამოთქვამენ მზაობას, რომ საკანონმდებლო დონეზე რეგულირების თვალსაზრისით გატარდეს სამუშაოები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების შეფასებით, საკანონმდებლო რეგულირების შედეგად თანამშრომლობა აღარ იქნება კონკრეტული პიროვნების ნებაზე დაფუძნებული და ადგილობრივ თვითმმართველობებში სსო-ების როლს უკეთ გაიაზრებენ. ასევე, ურთიერთობები მხარეებს შორის გახდება უფრო მეტად დაცული და ადგილობრივ თვითმმართველობას გაუჩნდება თანამშრომლობის უფრო მეტი ბერკეტი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საკანონმდებლო დონეზე გარკვეული სახის მექანიზმების დანერგვა აუცილებლად უნდა იყოს ქმედითი, ეფუძნებოდეს საერთაშორისო პრაქტიკას და თან ახლდეს ეფექტური აღსრულების მექანიზმები.

### 4. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა სამომავლო თანამშრომლობაზე - პრიორიტეტული მიმართულებები და თანამშრომლობის ფორმები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ მზაობა და სურვილი ადგილობრივ სსო-ებთან თანამშრომლობისთვის. მათთვის თანამშრომლობის სასურველი მიმართულებებია: ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები, გარემოსდაცვითი პროექტები, პროექტები განათლების (პროფესიული, არაფორმალური, ცნობიერების ამაღლება,

ინფორმირებულობა), სამოქალაქო ჩართულობის, აქტიური მოქალაქეობისა და მონაწილეობრივი ბიუჯეტირების მიმართულებით, ასევე, პროექტები ქალთა უფლებებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ახალგაზრდებსა და ბავშვებზე, მათ შორის, სკოლამდელ აღზრდაზე, სპორტზე, ტურიზმზე, კულტურაზე და მიგრაციაზე. ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის თანამშრომლობის ფაქტობრივად ყველა ფორმა მისაღებია, რომელიც მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებშია. ეს შეიძლება იყოს: მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსით მხარდაჭერა, ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით თანამშრომლობა, ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარება, ფართის დათმობა.

## 5. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის პროგრამული დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა თვითმმართველობის ბიუჯეტიდან

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის არცერთ მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება მუნიციპალური ბიუჯეტის ფარგლებში ადგილობრივი სსო-ებისთვის პროგრამული დაფინანსების გაცემის პრაქტიკა. თვითმმართველობების წარმომადგენლების სრული უმრავლესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ადგილობრივი სსო-ებისთვის დაფინანსების გაცემის შესაძლებლობის გაჩენას და მიიჩნევენ, რომ ამ პრაქტიკის დანერგვა პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებზე. მათი შეფასებით, დაფინანსების გაცემა ადგილობრივი სსო-ების მიმართ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ტექნიკურად შესაძლებელია და არანაირი შეზღუდვა არ არსებობს.

პროგრამული დაფინანსების გაცემის კომპონენტში, თვითმმართველობისა და ადგილობრივი სსო-ების თანამშრომლობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი მუნიციპალიტეტის შეზღუდულ ბიუჯეტთან არის დაკავშირებული, რის გამოც დაფინანსების მოცულობა ვერ იქნება დიდი ოდენობის, თუმცა, შესაძლებლობის ფარგლებში, რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებენ თანამშრომლობისთვის მზაობას.

## 6. ადგილობრივი თვითმმართველობების განწყობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ

მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ სსო-ები უფრო მეტად პარტნიორად აღიქმება, ვიდრე ოპონენტად. ამის ერთ-ერთი მიზეზი მათ შორის თანამშრომლობის კარგი გამოცდილებაა. ასევე, პარტნიორად მიიჩნევენ, რადგან თვლიან, რომ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიც საერთო საქმესა და მიზანს ემსახურება, პარტნიორული და კოორდინირებული მუშაობით კი, მუნიციპალიტეტიც და მისი მაცხოვრებლებიც უფრო მეტ სარგებელს ღებულობენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების შეფასებით, სსო-ების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია მათი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და იყვნენ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების მიმართ, აზიარებდნენ მათი საქმიანობის ამსახველ ანგარიშებს, ჰყავდეთ კვალიფიციური და კომპეტენტური კადრები, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს ითვალისწინებდნენ ადგილობრივ კონტექსტსა და გამოხატავდნენ რეალურ მხარდაჭერას სამიზნე აუდიტორიის მიმართ. გარდა ამისა, ნდობის ჩამოყალიბებას განაპირობებს არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტები, წარსული გამოცდილება და კონკრეტული შედეგები.



ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების შეფასებით, სსო-ების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებია: „გრანტიჭამიები“, „უსაქმურები“, „ფულის გამთეთრებლები“, „სოროსელები“, „ეროვნული საქმის მტრები“, „თვითმმართველობასთან ჩასაფრებულები“, „ამერიკის და ევროპის მონები“, „ქართველ ხალხს შორის შუღლის გამღვივებლები“, „უსაქმური ენჯეოშნიკები“, „ფორმალურად, ფულის შოვნის მიზნით შექმნილი ორგანიზაციები“. რესპონდენტების აზრით, სტერეოტიპების გამომწვევი ფაქტორი არის არასაკმარისი და არასწორი კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ზოგ შემთხვევაში კი, სტერეოტიპები გააჩინა კონკრეტულმა ფაქტებმა, რომლებიც შემდგომ ზოგად სექტორზე გავრცელდა. ასევე, სტერეოტიპების გამომწვევ ფაქტორად დასახელდა საზოგადოებაში არსებული ზოგადი უნდობლობა და ქართული მენტალიტეტი. რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წლების წინ სტერეოტიპები უფრო გავრცელებული იყო საზოგადოებაში, თუმცა, ახლა შედარებით შესუსტებულია მსგავსი დამოკიდებულება.

## 7. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გავლენის საჭიროება ადგილობრივ კონტექსტზე

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თვითმმართველობის ყველა წარმომადგენელი თანხმდება, რომ მნიშვნელოვანია მათ მუნიციპალიტეტებში ძლიერი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობა.

მუნიციპალიტეტებში ძლიერი სსო-ების გავლენა რამოდენიმე მიმართულებით არის არსებითად სასარგებლო და მნიშვნელოვანი. მათ ღირებული წვლილის შეტანა შეუძლიათ თვითმმართველობისა და ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში. დადებითი გავლენის მატარებელია ზოგადად მუნიციპალიტეტის გააქტიურებისა და გამოცოცხლების კუთხით, მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებენ თემის წევრების ცხოვრების პირობებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე, სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის, განათლებისა და ინფორმირებულობის კუთხით. კარგად ესმით ადგილობრივი კონტექსტი, იცნობენ ლოკალურ საჭიროებებს და მყისიერი რეაგირების მოხდენა შეუძლიათ თემის წევრების პრობლემებზე, დადებით გავლენას ახდენენ ადგილობრივების დასაქმებაზე, გააჩნიათ უფრო მეტი ბერკეტი თემის წევრების მხარდაჭერის მხრივ, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობას. რესპონდენტების მოსაზრებით, მუნიციპალიტეტებში ძლიერი სსო-ები, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი და პარტნიორია დამატებითი სახსრების მოძიების მხრივ, მნიშვნელოვანწილად უწყობენ ხელს ადგილობრივ თვითმმართველობას ეფექტურად განახორციელოს ვალდებულებები და არ აძლევენ მოდუნების შესაძლებლობას. სსო-ებს შეუძლიათ შეავსონ ის დანაკლისი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ თემში განხორციელებული საქმიანობის შედეგად რჩება. დადებით გავლენას ახდენენ მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შემცირებაზე. ასევე, სსო-ები არიან მოქალაქეების აქტიური მხარდამჭერები საკუთარი ცოდნის, გამოცდილებისა და ექსპერტიზის ფარგლებში. შედეგად, რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია მათ მუნიციპალიტეტებში ძლიერი სსო-ების არსებობა.

